ოქმი:**ო63. 63240852**
თარიღი:**25/03/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 11

ქ. სამტრედია. 25 მარტი, 2024 წელი.

2024 წლის 25 მარტს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა./

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

1. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 25 მარტის*** წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, გაერთიანების ხელმძღვანელობა ითხოვს, შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდას 1 (ერთი) ერთეულით, ქალაქის N10 ბაგა ბაღში აღმზრდელ-მეთოდისტის სახით. მიზანშეწონილად

მიაჩნიათ, სკოლამდელი განათლების ხარისხის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ბაგა-ბაღს ჰყავდეს მეთოდისტი, რომელიც პასუხისმგებელია ბაგა-ბაღში სასწავლო სააღმზრდელო პროცესის სწორად წარმართვაზე, აღნიშნული ცვლილება განხორციელდება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების ფონდის ფარგლებში. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, შრომის ანაზღაურების მუხლში თანხა მცირდება 10.0 ათ.ლარით. (აღნიშნული ეკონომია გამოწვეულია უხელფასო შვებულებებისა და ბიულეტენებიდან გამომდინარე). შესაბამისად, თანხა იზრდება დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების ხარჯის მუხლში (ბიულეტენები) 3.0 ათ.ლარით, საქონელი და მომსახურეობის ხარჯის მუხლში, კერძოდ ,,ავეჯის ხარჯი'' თანხა იზრდება 7.0 ათ.ლარით.

(მომართვის № 62-622408515 , 25/03/2024 წ. საკრებულოს რეგისტრაციის, **N: 12-6324085001-63, 25/03/2024** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

2. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 22 მარტის*** № 62-622408216, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება''-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, ითხოვს საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233593 განკარგულებით დამტკიცებული 2024 წლის ბიუჯეტის გეგმაში 2024 წლის 1 იანვრისათვის არსებული საკუთარი სახსრების შემოსავლის ნაშთის 11.80 ათ.ლარის ასახვას. შესაბამისად, ხარჯებში აღნიშნული თანხით 11.80 ათ.ლარით, არაფინანსური აქტივების გეგმის ზრდას. ასევე ითხოვს, საკუთარი შემოსავლების ხარჯებში მუხლობრივ ცვლილებას, კერძოდ საქონლისა და მომსახურების ხარჯების გეგმის შემცირებას 6.0 ათ.ლარით, შესაბამისად არაფინანსური აქტივების გეგმის გაზრდას 6.0 ათ.ლარით.

(მომართვის № 62-622408216 , 22/03/2024 წ. საკრებულოს რეგისტრაციის, **N: 12-6324082001-63, 22/03/2024** წ.)

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება''-ს ხელმძღვანელობამ, 2024 წლის 22 მარტის№ 62-622408263 წერილობითი მომარვით, ითხოვა ზემოთ აღნიშნული ცვლილების განხილვის შეჩერება. შესაბამისად, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ამ ეტაპისათვის შეაჩერებს საკითხის განხილვას.

(მომართვის № 62-622408263 , 22/03/2024 წ. საკრებულოს რეგისტრაციის, **N: 12-63240826-63, 22/03/2024** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

3. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 19 მარტის*** № : 62-622407991 , წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში, რესპუბლიკის ქ. №64-ში მდებარე 176.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.199) საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ'', განკარგულების პროექტის განხილვისა და დამტკიცების საკითხს.

(მომართვის № : 62-622407991 , 19/03/2024 წ. საკრებულოს რეგისტრაციის, **N: 12-63240792-63, 19/03/2024** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

4. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 22 მარტის N***27-622408243 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“ ს ანგარიშს, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად ერთობლივად განისაზღვრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიები.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი